

၉၈၈၅၅

მილან კუნდერა

საღაღობო ტრფობანი

დიდგენეს
გიგლოთიქა

მილან კუნდერა
სალალოგო ტრფოპანი

Milan Kundera
RISIBLES AMOURS

ფრანგულიდან თარგმნა პაატა ჯავახიშვილმა

გარეკანზე: პაბლო პიკასოს „კოცნა“ (ფრაგმენტი)

© Milan Kundera 1968, 1994

All rights reserved.

All adaptations of the work for film, theatre, television and radio are strictly prohibited.

© გამომცემლობა „დიოგენე“ 2006, 2013, 2024

ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-856-2

www.diogene.ge

არავინ იცინებს 7

მარადიული ლტოლვის ოქროს ვაშლი 53

ავტოსტოპობანა 81

სიმპოზიუმი III

დაე, ძველმა მკვდრებმა ადგილი დაუთმონ ახალ მკვდრებს 167

დოქტორი ჰაველი ოცი წლის შემდეგ 197

ედუარდი და ლმერთი 243

არაპინ იცინებს

I

– კიდევ ერთი ჭიქა სლივოვიცა დამისხიო, – კლარამ მთხოვა და უარი ვერ ვუთხარი. ბოთლის გასახსნელად საბაბი გამოვნახეთ, რომელიც არაფრით გამორჩეული არ იყო, მაგრამ მაინც ვარგოდა: იმ დღეს კაი გვარიანი თანხა ავიღე ერთ დიდ გამოკვლევაში, რომელიც ხელოვნების ისტორიის ერთ-ერთ შურნალში დაიბეჭდა.

ჩემი ეს გამოკვლევა ბოლოს და ბოლოს კი დაიბეჭდა, მაგრამ არც ისე იოლად. ჩემი ნაწერი ეკლიანი აღმოჩნდა და ეგებ პოლემიკაც გამოეწვია. სწორედ ამიტომ შურნალმა „სახვითმა აზროვნება“ და მისმა მსცოვანმა და ფრთხილმა რედაქციამ ნიხლი მიკრა ტექსტზე, რომელიც საბოლოოდ სხვა, მეტოქე შურნალს მივანდე. მართალია, ეს შურნალი ნაკლებად მნიშვნელოვანია, მაგრამ რედაქტორები აქ უფრო ჯეელები და თავქარიანები არიან.

ფოსტალიონმა ფული ფაკულტეტზე მომართვა და თან რაღაც წერილიც მოაყოლა. უმნიშვნელო წერილი, რომელსაც გადიდკაცებულმა მხოლოდ თვალი გადავაგლე იმავე დილას. მაგრამ, როდესაც სახლში დავბრუნდი, შუალამე მოახლოვდა და ბოთლში სითხის დონემ თანდათანობით იკლო, გადავწყვიტე, გასართობად კლარასთვის წამეკითხა:

„ძვირფასო ამხანაგო – თავს უფლებას მივცემ, ამგვარად გინოდოთ, – ძვირფასო კოლეგავ, გთხოვთ, მიუტევეთ ადამიანს, რომელსაც ცხოვრებაში არ შეხვედრიხართ, სითამამე და თქვენთვის

წერილის მოწერის კადნიერება. მოგმართავთ თხოვნით, წაიკითხოთ თანდართული სტატია. მე თქვენ პირადად არ გიცნობთ, მაგრამ დიდად გაფასებთ, რადგან ჩემს თვალში თქვენ ბრძანდებით ადამიანი, რომლის შეხედულებები, აზროვნება და დასკვნები ყოველთვის საოცარ საყრდენად მადგებოდა ჩემი კვლევის შედეგების შეჯამებისას...“ ამას ჩემი დამსახურებების უსაზღვრო ხოცბა და ერთი თხოვნა მოსდევდა, რეცენზიის სახით დამენერა ჩემი მოსაზრება სტატიის თაობაზე ჟურნალ „სახვით აზროვნებაში“ წარსადგენად, რომელიც აგერ უკვე ექვსი თვე იყო, რაც მას უარით ისტუმრებდა და სტატიას რალაც გაუგებარ შარს სდებდა. მისთვის ეთქვათ, რომ ჩემი აზრი გადამწყვეტი იქნებოდა. ასე და ამგვარად, მე უკანასკნელი იმედი, ერთადერთი ნათელი წერტილი აღმოვჩნდი მის ჯიუტ წყვილადში.

მე და კლარამ ბევრი ვიხალისეთ და ვიხუმრეთ ამ ვილაც ბატონ ზატურეცკიზე, რომლის მაღალფარდოვანი გვარი ჩვენზე ერთობ მომაჯადოებლად მოქმედებდა. რასაკვირველია, სრულიად გულითადად ვხუმრობდით, რადგან ჩემი მისამართით გამოთქმული ქება-დიდება ძალიან დიდსულოვანსა და ამაღლებულს მხდიდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შესანიშნავი სლივოვიცას ბოთლი ჩემგან სულ რალაც ერთი ხელის განვდენაზე იდგა. იმდენად დიდსულოვანი და მოწყალე ვიყავ, რომ იმ დაუვინყარ წამებში მთელი მსოფლიოს მიმართ განვიცდიდი სიყვარულს. აბა მთელ მსოფლიოს საჩუქრებს ხომ ვერ ჩამოვურიგებდი! ჰოდა, კლარას ვჩუქნიდი რალაც-რალაცებს. საჩუქრებს თუ არა, ყოველ შემთხვევაში, დაპირებებს მაინც.

კლარა კარგი ოჯახიდან გამოსული ოცი წლის გოგო იყო. არა, რა კარგი... ბრწყინვალე ოჯახიდან! მამამისი, ბანკის ყოფილი დირექტორი და, აქედან გამომდინარე, დიდი ბურჟუაზიის წარმომადგენელი, სადლაც 1950 წელს პრალიდან გააძევეს. ისიც ადგა და დედაქალაქიდან კარგა მოშორებით, სოფელ ჩელაკოვიცაში დასახლდა. მისი ქალიშვილი, რომელიც კადრების განყოფილებას დიდად თვალში არ მოსდიოდა, მკერავად მუშაობდა და საკერავ მანქანას უჯდა პრალის მზა ტანსაცმლის რომელიღაცა საწარმოს უზარმაზარ ატელიეში. იმ საღამოს პირისპირ ვეჯექი, მის ჩემდამი

ლტოლვას ყველანაირად ხელს ვუწყობდი და მსუბუქად ვაქებდი იმ ადგილის სასიკეთო მხარეებს, რომლის (მისთვის) მოპოვებასაც ჩემი მეგობრების იმედით ვპირდებოდი. ვამტკიცებდი, დაუშვებელია ასეთმა მომხიბლავმა გოგომ თავისი სილამაზე საკერავი მანქანის წინ მოაცდინოს-მეთქი, და გადავწყვიტე, რომ აუცილებლად მანეკენი უნდა გამხდარიყო.

კლარა კრიჭაში არ ჩამდგომია და ღამეც სრულ სიამტკბილობაში გავატარეთ.

2

ანმყოს მუდამ თვალახვეულები გავდივართ. განა შეგვიძლია წინასწარ შევიგრძნოთ და განვჭვრიტოთ ის, რასაც ახლა ჩავდივართ? თვალსახვევს რომ მოგვხსნიან, ოდენ მაშინ თუ გადავხედავთ ხოლმე წარსულს, მაშინ თუ შევაფასებთ ცხოვრებას და მაშინ თუ ჩავწვდებით მის არსს.

იმ საღამოს მეგონა, ჩემი წარმატებისას ვსვამ-მეთქი, და, ბუნებრივია, თავშიც არ გამივლია, რომ ეს ჩემი აღსასრულის საზეიმო ტაშ-ფანდური იყო.

ჰოდა, რაკილა აზრადაც არ მომსვლია ეს ამბავი, დილას მშვენიერ გუნებაზე გავიღვიძე. რაკი კლარას ჯერ კიდევ ეძინა ბედნიერი ძილით, მეც ბ-ნ ზატურეცკის წერილს თანდართულ სტატიას დავწვდი და ლოგინში მონებივრე, მის კითხვას გართობამონყურებული უდარდებლობით შევეუდექი.

სტატია სათაურით „მიკოლაშ ალეში, ჩეხური ფერწერის დიდოსტატი“ იმ უგულსიყურო ნახევარ საათსაც კი არ იმსახურებდა, მე რომ დავუთმე. საყოველთაოდ ცნობილ დებულებათა ამ უაზრო გროვას არც ლოგიკური განვითარების ნასახი ჰქონდა და არც ორიგინალური აზროვნებისა ეცხო რამე.

პირწმინდა სისულელე იყო და მეტი არაფერი. იმავე დღეს ჟურნალ „სახვითი აზროვნების“ მთავარმა რედაქტორმა, დოქტორ-

მა კალოუსეკმა (მართალია, ერთ-ერთმა ყველაზე ანტიპათიურმა ადამიანმა, მაგრამ მაინც) ტელეფონით დამიდასტურა ეს ამბავი. ფაკულტეტზე დამირეკა და, მიიღე ბ-ნ ზატურეცკის დისერტაციას, მკითხა, ჰოდაო, ერთი სამსახური გამინიეო, დაწერე ეგრეცენზიას, ხუთმა სპეციალისტმა გაუცამტვერა სტატია, მაგრამ მაინც არ ისვენებს და შენზე ამბობს, ჩემთვის ეგ მთელი დედამინის ზურგზე ერთადერთი ავტორიტეტიას. რამდენიმე ხაზი დაწერეო, დააყოლა ბოლოს, თქვიო, რომ არაფრად არ ვარგაო, შენ ხომ ძალიან გეხერხებაო, შენ ხომ იცი, მკვახედ წერა როგორ უნდაო და ისიც თავს დაგვანებებსო.

მაგრამ რალაცა შემინდა და ვირზე შეეჯექი: რალა მაინცდამაინც მე უნდა ვყოფილიყავი ბ-ნი ზატურეცკის ჯალათი? რა, განა მე ვიღებდი ამისთვის მთავარი რედაქტორის ხელფასს? სხვათა შორის, ისიც ძალიან კარგად მახსოვდა, როგორ დაიზღვია თავი „სახვითმა აზროვნებამ“, სიფრთხილე გამოიჩინა და უარი მითხრა გამოკვლევის დაბეჭდვაზე; თუმცა ბ-ნ ზატურეცკის გვარი მჭიდროდ აღმოჩნდა დაკავშირებული კლარასთან, სლივოვიცის ბოთლთან და იმ სასიამოვნო საღამოსთან. ბოლოს და ბოლოს, ჰუმანურიც არის, ხომ შემეძლო, ხელის თითები ან სულაც ალბათ ერთი თითი გამენძრია იმათი გულისთვის, რომლებიც „დედამინის ზურგზე ერთადერთ ავტორიტეტად მთვლიან“. რატომ გადამემტერებინა ეს ერთადერთი თავყვანისმცემელი?

კალოუსეკთან საუბარი რამდენიმე მახვილგონიერი და ბუნდოვანი სიტყვით დავამთავრე, რომლებიც თითოეულ ჩვენგანს ისე შეეძლო გაეგო, როგორც თვითონ სურდა: იმას – როგორც დაპირება, მე კი – როგორც თავის არიდების მცდელობა. დაკვიდე და მტკიცედ გადავწყვიტე, არ დამენერა რეცენზია ბ-ნ ზატურეცკის ნაშრომზე.

უჯრიდან თაბახის ფურცელი ამოვიღე და ბ-ნ ზატურეცკის დავუნერე წერილი, სადაც დიდი სიფრთხილით ავარიდე თავი მისი შრომის რამენაირ შეფასებას და თან ავუხსენი, რომ XIX საუკუნის ფერწერის თაობაზე ჩემი მოსაზრებები ძირითადად მცდარად არის

მიჩნეული, განსაკუთრებით „სახვითი აზროვნების“ რედაქციაში, იმდენად, რომ ჩემი ჩარევა ეგებ უფრო საზიანოც კი გამხდარიყო, ვიდრე სასარგებლო. ამავდროულად ბ-ნ ზატურეცკის თავბრუ დავახვიე მეგობრული მჭევრმეტყველებით, რომელშიც შეუძლებელი იყო, ჩემი მისდამი სიმპათია ვერ დაენახა.

ჩავაგდე თუ არა წერილი ყუთში, ბ-ნი ზატურეცკიც დავინწყებას მივეც. მაგრამ ბ-ნმა ზატურეცკიმ არ მიმცა დავინწყებას.

3

ერთ მშვენიერ დღეს, ლექციის დამთავრებისთანავე (ფერნერის ისტორიას ვასწავლი) შუა ხნის მოსიყვარულე და ალერსიანმა მდივანმა ქალმა, ქ-ნმა მარიმ, რომელიც ყავას მიხარშავს ხოლმე და ტელეფონში თუ ქალის არასასურველი ხმა ისმის, არ არისო, პასუხობს, საკლასო ოთახის კარზე მომიკაკუნა. თავი შემოყო და, ვილაც ბატონი გელოდებათო, მითხრა.

მამაკაცები არ მაშინებენ. სტუდენტებს დავემშვიდობე და დერეფანში გულარხინად გავედი თუ არა, შავკოსტიუმიანი და თეთრი ფერის გაცვეთილპერანგიანი ვილაც მომცრო ტანის ბატონი მომესალმა. შემდეგ მონინებით განმიცხადა, ზატურეცკი გახლავართო.

სტუმარი რომელიღაც ცარიელ ოთახში შევიყვანე, სავარძელი შევთავაზე და მხიარული ტონით გავუბი საუბარი. რას არ მივედმოვედე, საზიზლარი ზაფხულიც განვიხილე, იმ დროს რომ გვედგა და პრალული გამოფენებიც. ამ ჩემს ლაილაზე ბ-ნი ზატურეცკი ზრდილობიანად აკანტურებდა თავს, მაგრამ ცდილობდა, ყოველი სიტყვა თავისი სტატიისთვის მიეხა, რომელიც ჩვენ შორის არსებულ უხილავ სუბსტანციაში უძლეველი მაგნიტივით შემოიჭრა.

– სიამოვნებით დავწერდი რეცენზიას თქვენს ნაშრომზე, – მივუგე ბოლოს, – მაგრამ ხომ აგისხენით წერილში, არავინ არ მთვლის XIX საუკუნის ჩეხური ფერწერის სპეციალისტად და თან

არც „სახვითი აზროვნების“ რედაქციასთან მაქვს საუკეთესო ურთიერთობა. იქ მე გამოუსწორებელ მოდერნისტად მთვლიან და, ამდენად, ჩემმა დადებითმა შეფასებამ საბოლოოდ შეიძლება მხოლოდ საქმე გაგიფუჭოთ.

– ოჰ! თქვენ ზედმეტად თავმდაბალი ბრძანდებით, – შენიშნა ბ-ნმა ზატურეცკიმ, – როგორ შეიძლება თქვენნაირი სპეციალისტი ასე პესიმისტურად უყურებდეს თავის პოზიციას! რედაქციაში თქვენზე მითხრეს, ამიერიდან ყველაფერი მხოლოდ მის მოსაზრებაზეა დამოკიდებულიო. თუ თქვენ მხარს დაუჭერთ ჩემს სტატიას, დაიბეჭდება. თქვენ ჩემი ერთადერთი იმედი ხართ. ეს ნაშრომი სამწლიანი კვლევა-ძიების შედეგია. ახლა იგი თქვენს ხელთაა.

რა უდარდებლობითა და რარიგ უბადრუკი ლითონისგან ვჭედავთ ხოლმე ხანდახან ჩვენს ხრიკებსა თუ ფანდებს! არ ვიცოდი, რა მეპასუხა ბ-ნი ზატურეცკისთვის. ჩემდა უნებურად თავი ავნიე, სახეზე შეეხედე და მისი პატარა, მიამიტი და ძველმოდური სათვალე, ოდნავ ზევით კი ღრმა და ენერგიული ნაოჭი ვიხილე, რომელიც შუბლს შევეულად უსერავდა. სიცხადის ამ ერთ წამში ტანში ყრუანტელმა დამიარა: ამ გაფაციცებული და ჯიუტი ნაოჭიდან არა მარტო მიკოლამ ალეშის მხატვრობაზე დამკვდარი მისი პატრონის ინტელექტუალური მარტვილობა, არამედ მისი სწორუპოვარი ნებისყოფაც გამოსჭვიოდა. თავგზა ამეზნა და საპატიო მიზეზების პოვნა ველარ მოვახერხე. ვიცოდი, რეცენზიას არ დავწერდი, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ ამის თქმის ძალა არ შემწევდა ამ ჩია კაცისთვის, რომელიც პირისპირ მედგა და მევედრებოდა.

გავიღიმე და რალაც ბუნდოვანი დაპირებები ჩავიბლუყუნე. ბ-ნმა ზატურეცკიმ მაღლობა გადამიხადა და, ამზის გასაგებად კიდევ მოვალე, მითხრა. ყურებამდე გაღრეჭილი დავემშვიდობე.

რამდენიმე დღის შემდეგ მართლაც გამოჩნდა. იმჯერად კი მარჯვედ დაუუსხლტი ხელიდან, მაგრამ მეორე დღეს ფაკულტეტზე ისევ შემოუვლია და, გიკითხაო, მითხრეს. მაშინვე ქ-ნ მარის მივაშურე და თადარიგი დავიჭირე:

– ძალიან გთხოვთ, მარი, თუ ეს ბატონი ოდესმე ისევ გამოჩნდა და მიკითხა, უთხარით, გერმანიაშია სამეცნიერო კვლევებისთვის მივლენილი და ერთი თვე არ იქნება-თქო. ჰო, და კიდევ აი რა: ლექციები სამშაბათობით და ოთხშაბათობითა მაქვს. აწი ხუთშაბათობით და პარასკეობით ჩავატარებ ხოლმე. ეს მარტო ჩემს სტუდენტებს ეცოდინებათ, არავისთან სიტყვა არ დაგცდეთ და არც ცხრილში გადაასწოროთ. იატაკქვეშეთში გადავდივარ.

4

ცოტა ხნის შემდეგ ბ-ნ ზატურეცკის ისევ შემოუვლია ფაკულტეტზე და სასოც წარჰკვეთია, როდესაც მდივანს უთქვამს, მოულოდნელად გერმანიაში მოუწია გამგზავრებაო.

– კი მაგრამ, შეუძლებელია! ბ-ნ თანაშემწეს რეცენზია უნდა დაენერა ჩემს სტატიაზე! ეგრე როგორ წავიდა?

– არაფერი არ ვიცი, მაგრამ ერთ თვეში დაბრუნდება, – შეუნიშნავს ქ-ნ მარის.

– კიდევ ერთი თვეო... – ამოუკნავლია ბ-ნ ზატურეცკის, – მისი მისამართი ხომ არ იცით გერმანიაში?

– არ ვიციო, – ქ-ნ მარის მიუგია.

ერთი თვე სული მოვითქვი.

მაგრამ თვემ თვალის დახამხამებაში გაირბინა და ბ-ნი ზატურეცკი მდივნის სამუშაო ოთახში კვლავ გამოცხადდა.

– არა, ჯერ არ დაბრუნებულა, – ქ-ნ მარის უთქვამს და როცა მნახა, შემომვედრა, ის თქვენი კაცუნა კიდევ იყო და აწი რალა ვუთხრაო?

– უთხარით, მარი, გერმანიაში სიყვითლე დაემართა და იენაში საავადმყოფოში წევს-თქო.

– საავადმყოფოში? შეუძლებელია, ბ-ნ თანაშემწეს რეცენზია უნდა დაენერა ჩემს სტატიაზეო! – შეუყვირია ბ-ნ ზატურეცკის, როდესაც მდივანს ჩემი ავადმყოფობის ამბავი უცნობებია რამდენიმე დღის შემდეგ.

– ბატონო ზატურეცკი, ბ-ნი თანაშემწე მძიმედ ავადაა უცხოეთში, თქვენ კიდეც მაგ თქვენი სტატიის გარდა არაფერი გენალვლებათო, – საყვედურის ტონით უთქვამს მდივანს.

ბ-ნი ზატურეცკი მხრებში თავჩარგული გაძურწულა, მაგრამ ორ კვირაში ისევ ადგილზე იყო:

– დაზღვეული წერილი გავგზავნე იენაში და უკან დამიბრუნდაო!

– ეგ თქვენი კაცუნა ჭკუიდან შემშლის, – მითხრა ქ-ნმა მარიმ მეორე დღეს. – არ გაბრაზდეთ, მაგრამ აბა სხვა რაღა მეთქმოდა? ვუთხარი, დაბრუნდა-მეთქი, აწი თავად უნდა მიხედოთ მაგ ამბავს!

ქ-ნ მარიზე არ ვიყავი გაბრაზებული, რაც შეეძლო, აკეთებდა, თანაც, სხვათა შორის, სრულებითაც არ ვცნობდი თავს დამარცხებულად. ვიცოდი, რა მოუხელთებელიც ვიყავი. ფარულ ცხოვრებას ვენეოდი, ფარულად ვატარებდი ლექციებს ხუთშაბათობითა და პარასკეობით და ასევე ფარულად ავიტუზებოდი ხოლმე მრავალსართულიანი სახლის ჭიშკართან, ფაკულტეტის მოპირდაპირე მხარეს და ძალიან ვერთობოდი სანახაობით – როგორ იდგა და ელოდებოდა ჩასაფრებული ბ-ნი ზატურეცკი ლექციიდან ჩემს გამოსვლას. მინდოდა, თავზე პარიკი დამედო და ლოყებზე ხელოვნური წვერი მიმენებებინა. თავი შერლოკ ჰოლმსი, გუდიანი კაცი და ქალაქში მოხეტიალე უჩინმაჩინი მეგონა. ბრწყინვალე გუნებაზე ვიდექ.

მაგრამ ერთ დღესაც ბ-ნი ზატურეცკის თვალთვალი მობეზრდა და ქ-ნ მარისტვის ერთი ამბავი აუტეხავს – ბოლოს და ბოლოს როდისა აქვს ამხანაგ თანაშემწეს ლექციებიო.

მიბრძანდით და ცხრილში ნახეთო, მიუგია ქ-ნ მარის და თითო კედელზე ჩამოკიდებული გრაფებად დახაზული დაფისკენ გაუშვერია, რომელზეც ლექციები სამაგალითოდ მკაფიოდ იყო მითითებული.

– ვიცი, – უთქვამს ბ-ნი ზატურეცკის, რომელსაც არ უჭამია ეს ამბავი, – მაგრამ ამხანაგი არც სამშაბათობით ატარებს ლექციას და არც ოთხშაბათობით. შეწყვიტა განა მუშაობა?

– არა, – უხერხულად უპასუხია ქ-ნ მარის.

მაშინ კი გაუფჯორავს პატარა კაცს ქ-ნი მარი. რატომ ცხრილი არ შეასწორეთო, უსაყვედურია. ირონიულადაც ჩასძიებია, როგორ შეიძლება არ იცოდეთ, როდის ატარებენ პროფესორები ლექციებსაო, უუნყებია, თქვენზე საჩივარს შევიტანო. მერე აღრიალებულა. განუცხადებია, იმაზეც დავიჩივლებ, ამხანაგი თანაშემწე ლექციებს რომ აცდენსო. რექტორი ადგილზეაო, უკითხავს.

საუბედუროდ, რექტორი ადგილზე ყოფილა.

ბ-ნ ზატურეცკის სამუშაო ოთახის კარზე მიუკაკუნებია და შესულა. ათი წუთის შემდეგ კვლავ ქ-ნ მარის სამუშაო ოთახისკენ გაუნევიდა და ჩემი მისამართი უკითხავს მკვახედ.

– ლიტომიშლი, სკალნიკოვას ქუჩა 20, – უთქვამს ქ-ნ მარის.

– ეგ როგორ, ლიტომიშლი?

– ბ-ნ თანაშემწეს რაღაც პატარა სორო აქვს დაქირავებული პრალაში და არ სურს, რომ მე მისი მისამართი სხვებს ვუთხრა...

– მოვითხოვ, რომ ახლავე მომახსენოთ ბ-ნი თანაშემწის პრალის მისამართი, – ხმა ასთროთოლებია ჩია კაცს.

მაშინ კი მართლა დაუკარგავს წინააღმდეგობის უნარი ქ-ნ მარის. ჩემი მანსარდის, ამ საბრალო თავშესაფრის, ამ მყუდრო ბუნაგის მისამართი მიუცია, სადაც მე უნდა გამოვეჭირეთ.

5

დაიხ, ჩემი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ლიტომიშლშია. იქაურობასთან დედაჩემის და მამაჩემის მოგონება მაკავშირებს. ყოველთვის, როცა კი შესაძლებლობა მეძლევა, პრალას ვტოვებ და სამუშაოდ და საკვლევად სახლს, დედაჩემის პატარა ქოხს მივაშურებ ხოლმე. იმდენად, რომ მუდმივი საცხოვრებლის მისამართად დედაჩემის მისამართი დავიტოვე. თუმცა პრალაში რამე შესაფერი, თუნდაც ერთოთახიანი ბინაც კი ვერ ვიპოვე, რაც აუცილებელი და ნორმალურიც იქნებოდა, და ამიტომ პერიფერიულ უბანში უკვე დაქირავებული ბინის მდგმურისგან სახურავის ქვეშ სრულიად დამოუკიდებელი პა-

ტარა მანსარდა ვიქირავე, რომლის არსებობასაც შეძლებისდაგვარად ვმაღავდი. მინდოდა, თავიდან ამეცილებინა არასასურველი სტუმრების უსარგებლო შეხვედრები ჩემს ეფემერულ ქალებთან.

თორემ ხომ ვერც იმ უმნიშვნელო რეპუტაციაზე დავძრავდი კრინტს სახლის სხვა ბინადრებთან, რომელზეც პრეტენზია მქონდა. ლიტომიშლში გამგზავრებების დროს ბევრჯერ დამითმია ჩემი ოთახი ამხანაგებისთვის, რომლებიც ისე კარგად გართულან, რომ მთელ სახლში მთელი ღამე თვალი ვერავის მოუხუჭავს. ეს ყველაფერი ზოგიერთი მობინადრის აღშფოთებას იწვევდა, რომელთაც ფარული ბრძოლა გამომოცხადეს. ეს ბრძოლა ხან უბნის კომიტეტისგან ჩემი მისამართით ჩამოყალიბებული გაფრთხილებებით, ხანაც კი თვით გასახლების სამსახურში შეტანილი საჩივრებით გამოიხატებოდა.

იმხანად კლარამ, რომელსაც ნელ-ნელა უკვე რთული ეჩვენებოდა ყოველდღე ჩელაკოვიციდან პრალაში სამუშაოდ ჩამოსვლა, გადანწყვიტა, ღამლამობით ჩემთან დარჩენილიყო, თავიდან მორცხვად და განსაკუთრებულ შემთხვევებში, შემდეგ კი ჯერ ერთი კაბა დამიტოვა და მერე კიდევ – ბევრი. ბოლოს, რაღაც დროის შემდეგ, ჩემი ორი კოსტიუმი კარადის სიღრმეში შეკუჭული აღმოჩნდა, ხოლო ჩემი მანსარდა ქალის სალონად გადაიქცა.

კლარა ჩემი ძალიან სუსტი ნერტილი გახლდათ. ულამაზესი იყო; მომწონდა, ხალხი რომ ტრიალდებოდა და თვალს გვაყოლებდა, როდესაც ერთად დავდიოდით. ის ჩემზე ცამეტი წლით უმცროსი იყო და ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემს პრესტიჟს ზრდიდა ჩემივე სტუდენტების თვალში. ერთი სიტყვით, ათასი მიზეზი მქონდა, კლარა გვერდით მყოლოდა. თუმცა არ მინდოდა, ვინმეს სცოდნოდა, რომ ჩემთან ცხოვრობდა. მეშინოდა, ეს ჩემი ბინის პატრონისთვის არ მოეხსენებინათ, რომელიც ასაკოვანი, მოკრძალებული კაცი იყო და ჩემ მიმართ გულგრილობას იჩენდა. ვცახცახებდი, გულდამძიმებული არ მომდგომოდა ერთ მშვენიერ დღეს და არ ეთხოვა, თქვენი გოგონა აქედან მიაბრძანეთ და ამით ჩემი რეპუტაცია იხსენითო. ჰოდა, კლარამაც უმკაცრესი მითითებები მიიღო – არაფრის დიდებით კარი არავისთვის არ გაეღო.

იმ დღეს მარტო იყო სახლში. მშვენიერი მზიანი დარი იდგა და მანსარდაში სულისშემზუთველად ცხელოდა. ჩემს დივანზე ტიტლიკა-ნა წამოკოტრიალებულიყო და დრო ჭერის თვალიერებაში გაჰყავდა.

სწორედ ამ დროს ამტყდარა კარგზე ბრაგუნი.

არაფერი შესაშფოთებელი ამაში არ ყოფილა. რაკი მანსარდის კარზე ზარი არ მქონდა, სტუმრები ყოველთვის აკაკუნებდნენ. კლარასთვის გონება არ აუმღვრევია ამ ხმაურს და მასაც ჭერის თვალიერება განუგრძია. მაგრამ კარზე კაკუნის ხმა არ შეწყვეტილა; პირიქით, უფრო გაუგებარი და წყნარი სიჯიუტით გაგრძელებულა. ბოლოს კლარას ნერვები მოშლია; კარის წინ ვილაც მამაკაცი წარმოუდგენია, რომელიც პიჯაკის შიდა მხარეს დინჯად და მრავლისმეტყველად ამოიტრიალებდა და შემდეგ მხეცურად ჰკითხავდა, კარს რატომ არ ალებდი, რას მალავ და, საერთოდაც, ჩანერილი თუ ხარ ამ მისამართზე? დამნაშავის შეგრძნება დაუფლებია, თვალე-ბი ჭერისთვის მოუშორებია და მზერით იმ ადგილის ძებნა დაუნყია, სადაც ტანსაცმელი ელაგა. მაგრამ კაკუნი ისე ჯიუტად გაგრძელებულა, რომ დაბნეულობისგან შემოსასვლელში ჩამოკიდებული ჩემი სანვიმრის გარდა ვერაფერი უპოვია. მოუსხამს და გაუღია.

ზღურბლზე ბოროტი და გაიძვერა სახის ნაცვლად ჩია კაცი მდგარა. მისალმებია:

– ბ-ნი თანაშემწე შინ არისო?

– არა, გასულიაო!

– სამწუხაროაო, – უთქვამს პატარა კაცს და ზრდილობიანად მოუხდია ბოდიში. – ბ-ნმა თანაშემწემ რეცენზია უნდა დაწეროს სტატიაზე, რომლის ავტორიც მე გახლავართ. დამპირდა და ახლა დრო არ ითმენს – ეს საქმე ძალზე საჩქარო შეიქნა. ნებას თუ დამრთავთ, პატარა წერილს დავუტოვებო.

კლარას ფურცელი და ფანქარი მიუცია. საღამოს წავიკითხე. მწერდა, რომ მიკოლამ ალექსის თაობაზე მისი სტატიის ბედი ჩემს ხელში იყო და რომ ბ-ნი ზატურეცკი პატივისცემით ელოდებოდა ჩემგან დაპირებული რეცენზიის დაწერას. ფაკულტეტზე ისევ შემოვივლითო, ასე ამთავრებდა წერილს.

მეორე დღეს ქ-ნი მარი მომიყვა, ბ-ნი ზატურეკცი მომივარდა, დამემუქრა, იბრდღვინა და საჩივლელად გავარდაო. საცოდავ ქალს ხმა უკანკალებდა და ტირილის პირას იყო. ამჯერად კი განვრისხდი. ძალიან ნათლად მესმოდა, რომ ქ-ნი მარი, რომელიც აქამდე ამ კუკუდამალობანით კარგად ერთობოდა (უფრო ჩემდამი სიმპათიის გამო, ვიდრე საკუთრივ მხიარულების წყურვილის მიზეზით), ახლა თავს უკვე შეურაცხყოფილად გრძნობდა და ამ უსიამოვნების მიზეზად, ბუნებრივია, მე მთვლიდა. და თუ ამ ყველაფერს იმასაც დავუმატებდით, რომ ქ-ნი მარი იძულებული შეიქნა, ჩემი მანსარდის მისამართი გამოემზეურებინა, რომ ჩემს კარზე ათი წუთის განმავლობაში აკაკუნეს და რომ კლარა შემიშინეს, ჩემმა მრისხანებამ მწვერვალს მიაღწია.

და როდესაც ქ-ნი მარის სამუშაო ოთახში გაშმაგებულად ვცემდი ბოლთას, ცოფებს ვყრიდი, ტუჩებს ვიკვნიტდი, ვდუღდი და თავში შურისგების გეგმებს ვალაგებდი, ბ-ნმა ზატურეკციმ კარი შემოაღო.

დამინახა თუ არა, სახე ბედნიერებისგან გაუბრწყინდა. ქედი მოიხარა და მომესალმა.

ძალიან ადრე მოვიდა, იქამდე, ვიდრე შურისძიების კარგად მოფიქრებას მოვასწრებდი.

ჩემი გუშინდელი წერილი თუ გადმოგცესო, მკითხა.

კრინტი არ დამიძრავს.

გაიმეორა შეკითხვა.

– დიახ, – ამოვღერღე ბოლოს.

– და დანერთ ამ რეცენზიას?

წინ შეუხედავი, უჯჯათი და საშიში ადამიანი მედგა. შუბლზე შვეული ნაოჭი ერთადერთ ვნებას გამოხატავდა. ეს ხაზი დავინახე თუ არა, მივხვდი, ეს წრფე ორი რამით იყო განპირობებული: ჩემი რეცენზიითა და მისი სტატიით. ამ მანიაკური ხაზიდან გამოსჭვიოდა, რომ ცხოვრებაში მისთვის წმინდანის შესაფერი ასკეტიზმის

გარდა არაფერი არ არსებობდა. და მხსნელ არაკეთილმოსურნეობას დავნებდი.

– იმედი მაქვს, ხვდებით, რომ მე თქვენთვის სათქმელი აღარაფერი მაქვს მას შემდეგ, რაც გუშინ მოხდა, – ვუთხარი მე.

– მე თქვენი არ მესმის.

– ნუ თვალთმაქცობთ. გოგომ ყველაფერი მითხრა. აზრი არა აქვს უარყოფას.

– მე თქვენი არ მესმის, – გამიმეორა, მაგრამ ამჯერად უფრო ენერგიული ტონით ჩია კაცმა.

მხიარული და თითქმის მეგობრული ტონით დავინწყე:

– ყური მიგდეთ, ბატონო ზატურეცკი, არ მინდა გისაყვედუროთ. მე თვითონ მექალთანე ვარ და თქვენი მშვენივრად მესმის. თქვენს ადგილას მეც სიამოვნებით გავეარშიყებოდი ლამაზ გოგოს, თუ მასთან ერთად მარტო აღმოვჩნდებოდი ბინაში და ის კი შიშველი და სანვიმრის ამარა დამხვდებოდა.

პატარა კაცს მიტკლის ფერი დაედო:

– ეს შეურაცხყოფაა!

– არა, ეს ჭეშმარიტებაა, ბატონო ზატურეცკი.

– ეგ იმ ქალბატონმა მოგახსენათ?

– იმას ჩემთან საიდუმლოებები არა აქვს.

– ამხანაგო თანაშემწევ, ეს შეურაცხყოფაა, მე ოჯახი მყავს! ცოლ-შვილი მყავს! – ჩია კაცმა ჩემკენ ნაბიჯი გადმოდგა და მაიძულა, უკან დამეხია.

– ეგ მხოლოდ და მხოლოდ ამძიმებს მდგომარეობას, ბატონო ზატურეცკი.

– რისი თქმა გსურთ?

– იმის თქმა მსურს, რომ ცოლშვილიანობა დამამძიმებელი გარემოებაა მექალთანესთვის.

– თქვენ უკანვე ნაიღებთ მაგ სიტყვებს! – მუქარის კილოთი მითხრა ბ-ნმა ზატურეცკიმ.

– რა თქმა უნდა! – შემრიგებლურად მივუგე მე. – ცოლშვილიანობა აუცილებლად დამამძიმებელი გარემოება არ არის მექალ-

თანესთვის. მაგრამ მაგას რა მნიშვნელობა აქვს. აკი მოგახსენეთ, თქვენზე არ ვბრაზობ და თქვენი მესმის კიდევ-მეთქი. მაგრამ ერთი რამ მაინც სცდება საზღვრებს, კერძოდ ის, რომ კაცს სთხოვთ, რეცენზია დაწეროს თქვენს სტატიაზე და ამავდროულად ლამობთ, მისი მეგობარი გოგონა შეაცდინოთ.

– ამხანაგო თანაშემწევ! მე კი არა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერებათა აკადემიის მეცადინეობით გამოშვალა ჟურნალის „სახვითი აზროვნების“ მთავარი რედაქტორი, ბ-ნი კალოუსეკი მოითხოვს ამ რეცენზიას და თქვენ უნდა დაწეროთ!

– აირჩიეთ! ან ჩემი რეცენზია ან ჩემი გოგონა. ორივე ერთად არ გამოვა!

– როგორ იქცევით?! – წამოიყვირა სასონარკვეთილ მრისხანებაში ჩავარდნილმა ბ-ნმა ზატურეცკიმ.

რაოდენ უცნაურია – უეცრად დამეუფლა გრძნობა, თითქოს ბ-ნი ზატურეცკი მართლა ლამობდა კლარას შეცდენას. ამჯერად მე ავფეთქდი და ავყვირდი:

– თქვენ, ვინც ისეთ ბოდიშებს უნდა უხდიდეთ ჩვენს მდივან ქალს, რომ სულ ტყავიდან ძვრებოდეთ, ბედავთ და თავს უფლებას აძლევთ, ჭკუა მასწავლოთ აქ?!

ზურგი ვაქციე ბ-ნი ზატურეცკის, რომელიც თავგზააბნეული გაბარბაცდა ოთახიდან.

– შენ გაიხარე! – ამოვიოხრე მძიმე, მაგრამ ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ და ქ-ნ მარის მისამართით დაეუმატე: – მგონი, აწი მოგვასვენებს იმ თავისი რეცენზიით!

მცირე დუმილის შემდეგ ქ-ნმა მარიმ მორიდებულად მკითხა:

– რატომ არ გინდათ მაგ რეცენზიის დაწერა?

– იმიტომ, რომ მისი სტატია გიჟის ბოდვაა და მეტი არაფერი, ჩემო კარგო მარი.

– და რატომ არ წერთ რეცენზიას იმის სათქმელად, რომ ეს გიჟის ბოდვაა?

– მე რატომ უნდა დავწერო? მაინცდამაინც მე რატომ უნდა გავიჩინო მტრები?